ასოციაცია ჰერა ოცდაერთის პოზიცია „ბავშვის უფლებათა კოდექსთან“ დაკავშირებით

საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ასოციაცია ჰერა ოცდაერთი“ ეხმიანება, ამა წლის 26 მარტს, საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე, „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ პროექტის განხილვას და შედეგად, დოკუმენტში შეტანილ ცვლილებებს. ორგანიზაციას მიაჩნია, რომ აღნიშნული ცვლილებები შეუსაბამოა ბავშვთა უფლებების საერთაშორისო სტანდარტებთან და საჭიროებს დაუყოვნებელ რეაგირებას. კერძოდ ბავშვთა კოდექსის პროექტში შეტანილი ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს სკოლებში სქესობრივი აღზრდის შესახებ განათლების მიღებას მხოლოდ მშობლის თანხმობით (მუხლი 35.4).

საქართველოს ნაკისრი აქვს ვალდებულება, განახორციელოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები, მათ შორის მოსახლეობის და განვითარების შესახებ საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) სამოქმედო გეგმის, პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პროგრამის, ბავშვის უფლებების კონვენციის (CRC), საერთაშორისო პაქტის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ (ICESCR),ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CEDAW) ფარგლებში:

კერძოდ, საქართველოს შესაბამისობის განხილვისას, ბავშვთა უფლებების კომიტეტმა შეშფოთება გამოთქვა ადრეული ორსულობის მაღალი მაჩვენებლისა და „სკოლის სასწავლო პროგრამებში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების“ არარსებობის გამო. კომიტეტი რეკომენდაციას იძლევა, რომ საქართველომ „მოზარდი გოგონებისა და ბიჭების სასწალო გეგმაში შეიტანოს სავალდებულო განათლება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით, რომლის ფარგლებშიც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ადრეული ორსულობის და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების თავიდან აცილებას“;336[1] სქესობრივ აღზრდაზე განათლების დროს მშობლის თანხმობის შესახებ, ბავშვის უფლებათა კომიტეტი ხაზგასმით მოუწოდებს სახელმწიფოებს უზრუნველყონ ყველა ბავშვისთვის ზემოაღნიშნული ინფორმაციის მიწოდება მიუხედავად იმისა მშობლები არიან თუ არა თანახმანი.[2]

---

[1] ბავშვთა უფლებების შესახებ კომიტეტი, საქართველოს შესახებ მეოთხე პერიოდული ანგარიშის დასკვნითი დებულებები, 2017 წლის 9 მარტი. ხელმისაწვდომია: http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRC/C/GEO/CO/4&Lang=En

[2] General comment No. 4 (2003) Adolescent health and development in the context of the Convention on the Rights of the Child, პარ. 28

გარდა ამისა, ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CEDAW) ფარგლებში IV-V პერიოდული ანგარიშის დასკვნით რეკომენდაციებში კომიტეტმა მოუწოდა სახელმწიფოს უზრუნველყოს ასაკობრივად მიზანშეწონილი სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების განათლება ყველა დონეზე.

იუნესკოს სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით "ყოვლისმომცველი სქესობრივი განათლება წარმოადგენს „შემეცნებითი, ემოციური, ფიზიკური და სოციალური ასპექტების სწავლებისა და სწავლის პროცესს, რომელიც სასწავლო პროგრამაზე (კურიკულუმზე) არის დაფუძნებული. მისი მიზანია ბავშვებისა და ახალგაზრდების აღჭურვა იმ ცოდნით, უნარებით, დამოკიდებულებებითა და ღირებულებებით, რომლებიც მათ მისცემს საშუალებას: გააცნობიერონ საკუთარი ჯანმრთელობის, კეთიდღეობისა და ღირსების მნიშვნელობა; დაამყარონ სოციალური და სექსუალური კავშირები ურთიერთპატივისცემის საფუძველზე; გააცნობიერონ, თუ როგორ ზემოქმედებს მათი პირადი არჩევანი მათ საკუთარ და ასევე სხვების კეთილდღეობაზე; და, სრულყოფილად აღიქვან საკუთარი უფლებები და უზრუნველყონ ამ უფლებების დაცვა მთელი სიცოცხლის მანძილზე."[3]

სრულყოფილი სქესობრივი განათლების მიწოდება წარმოებს როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ გარემოში, და იგი არის: მეცნიერულად ზუსტი; ეტაპობრივი; ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისი; სასწავლო პროგრამაზე დამყარებული; ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული: ყოვლისმომცველი სქესობრივი განათლება ეფუძნება და ხელს უწყობს ადამიანის საყოველთაო უფლებების - მათ შორის ბავშვთა და ახალგაზრდების უფლებების და ყველა ადამიანის ჯანმრთელობის, განათლების, ინფორმაციაზე წვდომის, თანასწორობის და დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლებების - აღქმა-გააზრებას. [4] იმავე დოკუმენტის თანახმად, ქვეყნებში, სადაც ხელმისაწვდომია სქესობრივი განათლება, სექსუალური ცხოვრების დაწყების ასაკი გაზრდილია, ახალგაზრდები აკეთებენ ინფორმირებულ/გააზრებულ არჩევანს, რაც ხელს უწყობს ჰარმონიულ ურთიერთობას, ადრეული ქორწინებისა და სექსუალური ძალადობის პრევენციას.

იუნესკოს რეკომენდაციით, ეროვნული პოლიტიკისა და სასწავლო გეგმების შემუშავებისას სქესობრივი აღზრდის შესახებ განათლების ტერმინოლოგია მორგებული უნდა იყოს ადგილობრივ კონტექსტსა და საჭიროებებს. ასოციაცია ჰერა ოცდაერთის მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომის ფარგლებში ჩატარებული კვლევები აჩვენებს მშობლებისა და მასწავლებლების პოზიტიურ დამოკიდებულებას „ჯანსაღი ცხოვრების წესისა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული" საკითხების სწავლების მიმართ, ამასთან გამოხატავენ

[3] UNESCO, სექსუალური განათლების საერთაშორისო ტექნიკური სახელმძღვანელო პრინციპები: მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომა, 2017
[4] UNESCO, სექსუალური განათლების საერთაშორისო ტექნიკური სახელმძღვანელო პრინციპები: მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომა, 2017

საჭიროებას, შეიძინონ ბავშვთან ეფექტური კომუნიკაციისთვის საჭირო შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები.[5][6]

საქართველოში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხები, მათ შორის განათლების კუთხით არ რეგულირდება ცალკე ორგანული კანონით. განათლების ბოლოდროინდელი პროგრამული პოლიტიკური დოკუმენტების ნაწილი ითვალისწინებს ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების სწავლების/კომპლექსური სექსუალური განათლების მნიშვნელობას. საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2018-2020) და სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა აღიარებს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ინფორმაციის ახალგაზრდებისთვის მიწოდების მნიშვნელობას და მოიცავს შესაბამის ამოცანებსა და ქმედებებს. ახალგაზრდული პოლიტიკის მიხედვით, „სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და თანამედროვე კონტრაცეპციის შესახებ ინფორმაციის არსებობა ხელს უწყობს ახალგაზრდებში აბორტებისა და სექსუალური გზით გადამდები ინფექციების, მათ შორის, აივ ინფექციის გავრცელების შემცირებას, ასევე, ნაადრევი ქორწინების, ნაადრევი ორსულობის და მასთან დაკავშირებული რისკების და დედისა და ბავშვის ჯანმრთელობაზე უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებას“. პოლიტიკის ამოცანაა, უზრუნველყოს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და ფორმალური და არაფორმალური განათლების სისტემის ფარგლებში ჩართვა, თანამედროვე საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით. [7]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ აუცილებელია ბავშვის უფლებების კოდექსის აღნიშნული ცვლილებები მოვიდეს შესაბამისობაში ქვეყნის კონსტიტუციასთან და საერთაშორისო დონეზე უკვე აღებულ ვალდებულებებთან, რაც გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის სტანდარტებს წარმოადგენს. ასოციაცია მიუღებლად მიიჩნევს ბავშვთა კოდექსის პროექტში მუხლი 35.4-ის არსებული ფორმულირებით შეტანას, რომელიც იძლევა მრავალმხრივი ინტერპრეტირების საშუალებას და საფრთხეს უქმნის ბავშვის განათლების უფლების რეალიზებას. ორგანიზაციის რეკომენდაციაა, შემუშავდეს ცალკე კანონი სქესობრივი განათლების შესახებ, რომელიც **მოაწესრიგებს საერთაშორისოდ მიღებულ სტანდარტებს/დეფინიციებს, საქართველოში სქესობრივი აღზრდის შესახებ საგანმანათლებლო საქმიანობის ტერმინოლოგიას, განხორციელების პირობებსა და მიზნებს.**

[5] ასოციაცია ჰერა XXI, მასწავლებელთა დამოკიდებულებების კვლევა რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხების სწავლების მიმართ, 2018

[6] ასოციაცია ჰერა XXI, მშობლების საჭიროებებისა და დამოკიდებულებების კვლევა ჯანსაღი ცხოვრების წესისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების სწავლების მიმართ, 2017

[7] „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის“ დოკუმენტი, დამტკიცებული საქართველოს მთავრობის მიერ N553 განკარგულებით 2014 წლის 2 აპრილს, იხ,: http://msy.gov.ge/files/Youth_Policy_(Engl)_Final_July_2014.pd